



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო
უნივერსიტეტი

აკადემიური წლის ანგარიში

2017 -2018 აკადემიური წელი



შინაარსი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი _____	3
სამართლის ფაკულტეტი _____	5
ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი _____	6
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური _____	9
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური _____	11
ბიბლიოთეკა _____	13
ხარისხის მართვის სამსახური _____	14
სტუდენტურ საქმეთა სამსახური _____	16
იურიდიული სამსახური _____	20
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური _____	22



ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ანგარიშის ნაწილში აღსანიშნავია, რომ შესრულდა ყველა დასახული მიზანი. კერძოდ, მოხდა მიღება საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე. წინა წელთან შედარებით, ჩარიცხულთა რაოდენობა იყო გაცილებით მეტი. შიდა და გარე მობილობით გადმოვიდა ორი სტუდენტი; აქტიურად მუშაობდა სტუდენტ თეოლოგთა ჯგუფი, რომელმაც გამართა სემინარები და საჯარო ლექციები;

ჩატარდა ლექცია და ფოტო-გამოფენა თემაზე „ქართული მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში (ნესტან ბლუაშვილი); საჯარო ლექციები თემებზე „ჩანაწერები ძველ აღთქმაზე“ (ზურაბ კვიციანი), „სეკულარიზმი და დესეკულარიზმი“ (სოფო ზვიადაძე), „ევროკავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში“ (დოქტორი ჰაბსბურგ-დუგლასი), „ისლამი დღეს - უსაფრთხოება, დიალოგი და იმედები“ (ვარშავის შტეფან ვიშინსკის პროფესორი ალდონა პივკო), „ქართველები პოლონეთში და პოლონელები საქართველოში“ (ჯოზეფ ლუპინსკი), „1917 წლის ღვთისმშობლის გამოცხადება“ (პიერ დიუმულენი), „მედია და ანტიდასავლური პროპაგანდა“ (სოფო გელავა);

ჩატარდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „რელიგია, კულტურა, ტოლერანტობა“ (ალექსანდრე გაბუნია, სალომე ხერგიანი, სოფიო გოზალიშვილი);

განხორციელდა თეოლოგიის პროგრამის ბაზაზე არსებული „რელიგიის კვლევის ცენტრის“ სტრუქტურული და შინაარსობლივი რეორგანიზაცია. ცენტრის მიერ ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: რელიგიის მეცნიერების რელევანტურობა და პერსპექტივები (გიგი თევზაძე), ვიზუალური აღქმა - მედია და რელიგია (ალექსანდრე გაბუნია), რელიგია, რეფორმა და თანამედროვეობა (დედა სიდონია), ეთნიკური ტრადიციები და რელიგია ქართველ აზერბაიჯანელებში (რამილა ალიევა), დემოკრატია და რელიგია (არინა თავაქარაშვილი), ღმერთები უფასოდ მგზავრობენ (ზელიმხან უძილაური, გიორგი ლელუაშვილი), იოანეს სახარების მეცნიერული ანალიზი (პიერ დიუმულენი);

საერთაშორისო ურთიერთობები მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები: დაფუძნდა პოლიტიკის სტუდენტური კლუბი, რომელმაც გამართა შეხვედრები: Education



USA-ს წარმომადგენელ დალი ხომერიკთან და საქართველოში აშშ-ის საელჩოს განათლებისა და პროფესიული პროგრამების კოორდინატორ გიორგი გაბუნიასთან თემაზე „სწავლის შესაძლებლობები აშშ-ში (11 მაისი); საჯარო ლექცია „ნატო-საქართველოს ურთიერთობები გამოწვევები და პერსპექტივები (ნატოს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ, 25 მაისი), მოხალისეობა და სამოქალაქო ინიციატივა - დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი (მ. ბერიანიძე 27.10.2017), პოლიტიკური სიტემები - კონსტიტუციური მონარქია (თ. ასათიანი 01.12. 2017), მმართველობის ფორმები - გზა საპარლამენტო რესპუბლიკისკენ (გ. ნონიაშვილი 15.12.2017), კულტურის სოციოლოგია (მომხს. თამარ ონოფრენკო 27.12.2017);

ფაკულტეტისა და საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიასთან არსებული კულტურისა და ეკლესიათა ერთიანობის კომისიის მიერ ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ (06.06-08.06. 2017); ასევე ჩატარდა მონს. პიერო კოდას საჯარო ლექცია „დიალოგი მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა შორის (21.09.2017); საერთაშორისო კონფერენცია „რეფორმაციის 500 წელი და საქართველო (03-04.11.2017); მოწყო წიგნის - კალისტრატე ცინცაძე 150, პრეზენტაცია (11.12.2017); ჩატარდა პიერ დიუმულენის საჯარო ლექცია „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საიდუმლო“;

დაიწყო პროექტის „ისწავლე და ასწავლე დემოკრატია“ პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში; მოეწყო სასწავლო ვიზიტი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში (30.11.2017);

შედგა სამუშაო შეხვედრები წმ. თომა აქვინელის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკან ალექსანდრო კროსვეითთან; ასევე „სოფიას“ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტსა და აღნიშნულ უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის სხვადასხვა შესაძლებლობები;

საერთაშორისო კონფერენციის „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ პროფესორმა ალბერტო ლო პრესტიმ წაიკითხა მოხსენება - „დიალოგი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი პრინციპი პაპ ფრანცისკეს აზროვნებაში“.



სამართლის ფაკულტეტი

2017-2018 სასწავლო წელმა წარმატებით ჩაიარა. სამართლის ფაკულტეტი მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევს პროექტის „მოსწავლეთა აკადემიის“ ჩამოყალიბებას, რომელიც ფაკულტეტს დაეხმარება აბიტურიენტების მოზიდვაში, სამართლის ფაკულტეტის ცნობადობის გაზრდასა და სტუდენტებისთვის უნარ-ჩვევების განვითარებაში, ასევე, სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაში სამართლის აქტუალურ საკითხებზე. პროექტის ფარგლებში გაფორმდა მემორანდუმები სოფიკო ჭიაურელის სახელობის #54 და მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №124 საჯარო სკოლასთან, სადაც სამომავლოდ პრაქტიკული კლინიკის ფარგლებში შევლენ სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები.

სამართლის ფაკულტეტი ხელს უწყობდა სამეცნიერო საქმიანობის წახალისებას. 6 თებერვალს, საბაუნის პროფესორის რედაქტორობით გამოცემული კრებულის „ავთანდილ დემეტრაშვილი 75“ წარდგინება საბაუნში ჩატარდა.

მნიშვნელოვანი მიღწევაა 29 ივნისს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „სამართალი და გლობალური უსაფრთხოება“, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს.

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, აქტიურად მიდიოდა თანამშრომლობა **Pázmány Péter Catholic University** - თან და ორგანიზაციულ საკითხებზე მოლაპარაკებების წარმოება Visegrad-ის ფარგლებში დაგეგმილ V-4 კონფერენციაზე (1st conference on the legal challenges in the Visegrad countries) ბუდაპეშტში, სადაც საბაუნის პროფესორები გიორგი გორაძე და დიმიტრი გეგენავა წარსდგებიან მოხსენებებით. ფაკულტეტი მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევს საბაუნის პროფესორებისთვის საერთაშორისო პროექტებში ჩართვის ხელშეწყობას.

2017-2018 სასწავლო წელს აქტიურად მიდიოდა სხვადასხვა საჯარო ლექციებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება და სტუდენტების ჩართულობა იმიტირებულ სასამართლო პროცესებსა და სხვა სახის შეჯიბრებებში.



ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი

2017-2018 წწ. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტზე მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. პროგრამების წარმატებით განხორციელებისა და სწავლის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის მიზნით გამართა ფაკულტეტის საბჭოს 10 სხდომა, სადაც განხილული იყო პროგრამების მოდიფიცირების საკითხები. კერძო:

- ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამას დაემატა არჩევითი საგნები, რამაც პროგრამა პრაქტიკული თვალსაზრისით გააძლიერა;
- შეიცვალა ძირითადი საგნების სემესტრები პროგრამაში სასწავლო კურსები უფრო ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგების მიზნით.

გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სავალდებულო კომპონენტის - პრაქტიკის დაცვის მიზნით, სავალდებულო სტუდენტებს მიეცათ ფართო არჩევანის შესაძლებლობა, სურვილის მიხედვით გაევიდნენ პრაქტიკა სასურველ ობიექტზე. მათ სემესტრის ბოლოს წარმოადგინეს ანგარიშები და პრაქტიკის საჯარო დაცვა განხორციელდა კომისიის წინაშე.

გაზაფხულის სემესტრის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის სავალდებულო კომპონენტის - საბაკალავრო ნაშრომის დაცვის მიზნით, სემესტრის დასაწყისშივე მოხდა სტუდენტების მხრიდან სასურველი მიმართულების, ხელმძღვანელისა და პროექტის არჩევა. სემესტრის დასრულებისას სტუდენტებმა საბაკალავრო პროექტები წარმოადგინეს საჯარო დაცვაზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში აქტიურად დაიწყო კურიკულუმს გარე აქტოვობების დაგეგმვა, რომლებშიც სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ და ცდილობენ განივითარონ პრაქტიკული უნარები. კერძოდ:

- განხორციელდა სასწავლო ვიზიტები კომპანიებში („ქართული ლუდის კომპანია“ - ლუდსახარში „ზედაზენი“, კომპანია „სარაჯიშვილი“ ტექნოპარკი);



- ფაკულტეტზე ჩატარდა ვორქშოფი გერმანულ და ფრანგ მეცნიერებთან ერთად თემაზე „ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხები საქართველოში“;
- გაიმართა არაერთი საჯარო ლექცია და ტრენინგი;
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის პროგრამის სტუდენტებმა, გერმანულ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს პროექტ „გააცოცხლე გურია“-ში;
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზრის კვლევებში;
- ფაკულტეტზე საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ ბიზნეს ქეისების კონკურსს;
- ფაკულტეტზე საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციას;
- გაიმართა Alumni - კურსდამთავრებულთა დაბრუნების წვეულება;
- სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საზაფხულო ბანაკში „თანამედროვე საინფორმაციო სისტემები და უსაფრთხოება“;
- ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „მიგრაციის ზეგავლენა სხვადასხვა სფეროებზე“.

ფაკულტეტზე გამოვლინდნენ სტიპენდიანტები, წინა სემესტრის სემესტრული მაჩვენებლების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 2018 წელს ჰყავს 27 კურსდამთავრებული, ხოლო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას 2018 წელს ჰყავს 24 კურსდამთავრებული.

2017-2018 სასწავლო წელს ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი ვიზიტით იმყოფებოდა ლუბლინის მეწარმეობისა და ადმინისტრირების უნივერსიტეტში (პოლონეთი), ლვოვის უკრაინული კათოლიკური უნივერსიტეტის ლვოვის ბიზნეს სკოლაში (უკრაინა), ნოტრდამის უნივერსიტეტში (აშშ). დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.



ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტზე პროგრამული აკრედიტაცია გაიარა ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანმა და ქართულენოვანმა პროგრამებმა და მიიღეს პირობითი 1 წლიანი აკრედიტაცია.



საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

2017-2018 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართლებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული მობილობა უცხოეთის უნივერსიტეტებში:

Erasmus+ KA107 ICM და გაცვლით პროგრამით 2017-2018 წელს სარგებლა სამართლის ფაკულტეტის 2 ორმა სტუდენტმა, მაკა მოქიამ და ჯუნა ირიაულმა

მიმდინარე აკადემიურ წელს განხორციელდა საბაუნის 18 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა (12 ადამიანი - Erasmus+ ICM, Erasmus+ KA2 project meetings, Conferences, business trips)

საბაუნიმ უმასპინძლა 7 (შვიდი) უცხოელ პროფესორს როგორც Erasmus+ KA107 ICM-ით, ასევე როგორც მოწვეული სპიკერების რანგში (3 ერასმუს+, კონფერენციები, საჯარო ლექციები)

მომავალი აკადემიური წლისთვის განაცხადი გვაქვს გაკეთებული 6 (ექვსი) უნივერსიტეტთან.

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

მიმდინარე აკადემიურ წელს საბაუნის 7 (შვიდმა) პერსონალმა მიიღო მონაწილეობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ გამართლ საერთაშორისო კონფერენციებში. იქიდან გამომდინარე, რომ ერთი პირი რამდენიმე კონფერენციაში მონაწილეობდა სულ დაფიქსირდა 10 მონაწილეობა.

თანამშრომლობის გაფართოება

საბაუნის თანამშრომლობის არეალის გაფართოების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა 6 (ექვსი) შემდეგ უნივერსიტეტებთან:

1. ლუბლინის იოანე პავლე მეორის სახელობი კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი) (განახლდა);
2. კარდინალ სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტი ვარშავაში (პოლონეთი);
3. კიოლნის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (გერმანია);
4. კლაიპედას უნივერსიტეტი ლიეტუვაში (ლიეტუვა);
5. ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (სამართლის ფაკულტეტი) საფრანგეთი;



6. რომა ტრეს უნივერსიტეტი (იტალია);

საბაუნი გახდა ორი საერთაშორისო საუნივერსიტეტო ფედერაციის წევრი : **FUCE (Federation of Catholic Universities in Europe)** **IFCU (Internarional Federation of Catholic Universities)**

საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა

საბაუნი ჩართულია Erasmus+ KA2 პროექტში „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, მოწინავე რესურსები საქართველოს და ჩინეთისათვის“, რომელშიც ჩართული აკადემიური პერსონალის (ეკატერინე ნაცვლიშვილი, გვანცა აბდალაძე და ირაკლი ცხადაძე) გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს სწავლების თანამედროვე მეთოდებზე და შემდეგ უკვე თვითონ დაატრენინგებენ ჩვენს პერსონალს.

ამავე პროექტის ფარგლებში დაფუძნდა პროფესიული განვითარების ცენტრი და შევიძინეთ სათანადო აპარატურა.

საერთაშორისო კონფერენციები:

1. ივნისში ჩატარდა რიგით მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ ;
2. საერთაშორისო კონფერენცია „გლობალური უსაფრთხოება და სამართალი“;



სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

2017-2018 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით, 2017 წლის საშემოდგომო სემესტრში სწავლა დაიწყო 11 სექტემბერს. (აუდიტორიული მეცადინეობები 11 სექტემბერი -23 დეკემბერი) სწავლის დაწყებამდე სტუდენტებმა გაიარეს აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში აიტვირთა სალექციო-სასემინარო ცხრილი.

პირველკურსელთა რეგისტრაციაზე გამოცხადებული სტუდენტებიდან საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხა 187 სტუდენტი, ხოლო მაგისტრატურაზე 59.

2017-2018 სასწავლო წელს შიდა მობილობით ისარგებლა 12 სტუდენტმა ხოლო გარე მობილობით გადმოვიდა 8 სტუდენტი.

ელექტრონულ ჟურნალში გატარდა სტუდენტებთან დადებული განათლების მომსახურების ხელშეკრულებები, ჟურნალი დაიხურა და აიკინდა 2017 წლის 1 ნოემბერს, 41 ფურცლად.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა საფინანსო სამსახურს მიაწოდა მიმდინარე სემესტრში დამატებით კრედიტებზე რეგისტრირებული სტუდენტების სახელობითი სია, გადასახდელი კრედიტების რაოდენობის მითითებით.

2017-2018 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შუალედური გამოცდები დაიწყო 30 ოქტომბერს და დასრულდა 11 ნოემბერს.

სემესტრის დაწყებიდან დასრულებამდე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შემოსული განცხადებების საფუძველზე გასცა ცნობები, როგორც სტუდენტის სტატუსის შესახებ ასევე ფორმა 26. ცნობები გაიგზავნა მოთხოვნის შესაბამისად.

ასევე აკადემიური კალენდრით განისაზღვრა ფინალური და დამატებითი დასკვნითი გამოცდების ცხრილი.

დასკვნითი გამოცდები ჩატარდა 8 იანვრიდან-20 იანვრის ჩათვლით. გამოცდების ჩატარდა როგორც სასწავლო პროცესის მიერ წერითი ფორმით ასევე პროფესორების მხრიდან ზეპირი ფორმით სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. დამატებითი დასკვნითი გამოცდები დაიგეგმა 22 იანვრიდან - 3 თებერვლის ჩათვლით.

2017-2018 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრი დასრულდა 3 თებერვალს.



2017-2018 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრი დაიწყო 19 თებერვალს, რომელიც გაგრძელდა 2 ივნისის ჩათვლით. საშემოდგომო სემესტრში მიმდინარე პროცესები იდენტურია საგაზაფხულო სემესტრში მიმდინარე პროცესებისა. მოხდა სტუდენტების რეგისტრაცია საგნებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, აიტვირთა ლექცია-სემინარების ცხრილი. საფინანსო სამსახურს მიეწოდა მიმდინარე სემესტრში დამატებით კრედიტებზე რეგისტრირებული სტუდენტების სახელობითი სია, გადასახდელი კრედიტების რაოდენობის მითითებით.

დაიგეგმა და განხორციელდა შუალედური გამოცდები რომელიც, მიმდინარეობდა 10-21 აპრილის პერიოდში.

რაც შეეხება ფინალურ გამოცდებს აკადემიური კალენდრით მიმდინარეობდა 18 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

2017-2018 სასწავლო წელი დასრულდა 14 ივლისს.

2017-2018 წლის სასწავლო წელს სწავლა დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა 139 სტუდენტს აქედან:

სამართლის ბაკალავრი - 52 სტუდენტი

სამართლის მაგისტრი - 23 სტუდენტი

თეოლოგიის ბაკალავრი - 10 სტუდენტი

თეოლოგიის მაგისტრი - 3 სტუდენტი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი - 27 სტუდენტი

ტურიზმის ბაკალავრი - 24 სტუდენტი

2017-2018 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის უწყისების რეგისტრაციის ჟურნალი დაიხურა 2018 წლის 2 ოქტომბერს 15 ფურცლად, ხოლო საშემოდგომო სემესტრის 2018 წლის 22 მარტს 15 ფურცლად.



ბიბლიოთეკა

მიმდინარე აკადემიურ წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა:

- წიგნი - 664
- პერიოდიკა - 49
- რიდერი - 10
- სამაგისტრო შრომები - 77
- ელ. ვერსიები - 163.

მიმდინარე წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდიდან მკითხველზე გაცემულია 4546 წიგნი.

წლის განმავლობაში, ბიბლიოთეკაში გაწევრიანდა 150 მკითხველი.

2018 წელს უნივერსიტეტი გახდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს გამომწერი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას გაეცნოს საკანონმდებლო ცვლილებებს უახლესი ჩასწორებებით.

მიმდინარე წელს, კვლავ განახლდა სამეცნიერო ბაზა EBSCO -სთან ხელშეკრულება, რაც გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში წვდომას სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაზე. 2018 წლიდან უნივერსიტეტს აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზა HeinOnline თან, მსოფლიოში აღიარებული, სამართლებრივი რესურსების ბაზა.

2018 წელს ბიბლიოთეკარმა, ნანა ფაილოძემ მონაწილეობა მიიღო ტრენინგში „EBSCO day in Georgia 2018“, უნივერსიტეტმა მოიპოვა დროებითი წვდომა ბაზაზე: Business Source Ultimate.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკამ საკონსულტაციო შეხვედრა ჩაატარა 2017-2018 წლის საგაზაფხულო სემესტრში, 21 მარტს (21.03.2018) შეხვედრას ესწრებოდა 25 სტუდენტი. შეხვედრაზე ბიბლიოთეკარმა ნანა ფაილოძემ ისაუბრა: ბიბლიოთეკის შინაგანაწესზე, ქცევის წესებზე, სამუშაო გრაფიკზე, ბიბლიოთეკის მიზნებზე, ბიბლიოთეკის ფუცქციებზე, ელექტრონულ კატალოგზე, სტუდენტებს გააცნო ელექტრონული კატალოგით სარგებლობის წესი. ლიტერატურის მოძიება „open biblio“ - ში. ბიბლიოთეკარმა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა ბიბლიოთეკის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე. მონაცემთა ბაზა EBSCO-სა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე-ზე.



ხარისხის მართვის სამსახური

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური მუდმივად ზრუნავს ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის ამაღლებას, დანერგოს სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები, უზრუნველყოს ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროსესების ორგანიზება.

დასახული ამოცანებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე სამსახური წარადგენს სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებების შესრულების ანგარიშს.

2017-2018 სასწავლო წელს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

შესრულების პერიოდი - დეკემბერი-თებერვალი:

- მოდიფიცირდა საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- შემუშავდა ცვლილებები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაციის პროცესი;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამამ (ინგლისურენოვანი) მიიღო პირობითი ერთწლიანი აკრედიტაცია;
- შედგენილ იქნა 2018 წლის სამოქმედო გეგმა;
- შემუშავდა 2017 წლის შედეგებისა და SWOT-ანალიზის დოკუმენტი, შესაბამისი რეკომენდაციებით;
- განახლდა ურთიერთობები და თანამშრომლობა ადგილობრივ და საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დასწავლებლებთან.

შესრულების პერიოდი მაისი-ივნისი:

- მომზადდა ავტორიზაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიში და წარედგინა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს;
- მომზადდა და სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიში;
- ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის დადებითი და უარყოფითი ასპექტების შესწავლის მიზნით;



შესრულების პერიოდი - სისტემატურად:

- მიმდინარეობდა სასწავლო პროცესზე მონიტორინგი;
- ხორციელდებოდა ლექცია-სემინარებზე დასწრება , შეფასება და რეკომენდაციები/ანალიზი.

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ხარისხის მართვის სამსახურის აქტიური ჩართულობით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

შესრულების პერიოდი - სასწავლო წლის დასაწყისი

- განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
- მოეწყო და განახლდა საკონფერენციო დარბაზი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი;

შესრულების პერიოდი - სისტემატურად:

- მოხდა შეძენა-განახლება უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკის, ასლგადამღები აპარატურის, პროექტორების, სასწავლო და საოფისე ინვენტარის;
- გამდიდრდა და შეივსო ბიბლიოთეკა ლიტერატურით და პერიოდული გამოცემებით, სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილ იქნა დამატებითი ტექნიკით;
- მოდიფიცირებული სილაბუსების ძირითადი ლიტერატურის განახლების შესაბამისად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილ იქნა სახელმძღვანელოებით;
- განახლდა ვებ-გვერდი;
- ჩატარდა დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე ავტომატიზირებული სისტემისა და სტუდენტური პორტალის გამრავალფეროვნება;
- მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესყიდვა/ინსტალაცია;



სტუდენტურ საქმეთა სამსახური

სულხან-საბა ორბელიანის სტუდენტურ საქმეთა სამსახურს აქვს ორი ძირითადი მიმართულება: სტუდენტების კარიერული ზრდა და განვითარება; სტუდენტური ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც სამსახური ახორციელებს არაერთ აქტივობას. აქტივობებში ჩართული არიან საბაუნის სტუდენტები.

- 2018 წლის თებერვალსა და მარტში მიმდინარეობდა ტრენინგების ციკლი ექსელის გამოყენებაზე, რომელიც ჩაუტარდა არა მხოლოდ საბაუნის სტუდენტებს, არამედ ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც. გადამზადების მიზანი იყო სტუდენტური და ადმინისტრაციული რესურსის გაძლიერება ამ მიმართულებით.
- 2018 წლის მარტში მიმდინარეობდა პროექტი სერვის +, რაც გულისხმობდა საბაუნის თანამშრომლების გადამზადებას მომსახურებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის თემაზე. ტრენინგების მიზანი იყო მომსახურებისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება და გაძლიერება.
- 2018 წლის აპრილისა და მაისის თვეში დაიწყო საბაუნის სტაჟირების პროგრამა საბაუნის სტუდენტებისთვის. სტაჟირების მიზანი იყო სტუდენტებს განევითარებინათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები შემდგომში წარმატებით დასაქმებისთვის. მათი ინტერესის სფეროდან გამომდინარე მათ შეეძლოთ აერჩიათ საბაუნის რომელიმე დეპარტამენტი და გაეცლოთ სტაჟირების ორთვიანი კურსი. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/217438672327613/>)
- 2018 წლის 1 აპრილს საბაუნის ინგლისური ენის კლუბმა გამართა შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამერიკელი მოხალისე. შეხვედრაზე საფუძველი ჩაეყარა ინგლისური ენის კლუბს, რომელიც მოსწავლეებს შესთავაზებს კურსებს იმ უნარების გასაძლიერებლად, რომელიც სჭირდებათ უცხო ენაზე პრეზენტაციების, დისკუსიების, შეხვედრების ჩასატარებლად. მან სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის გამოყენებითაც გაუმარტივდებათ ინგლისური ენის ბარიერის დაძლევა და დახვეწენ სასაუბრო ინგლისურს. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/590914031255368/>)
- 2018 წლის 14 აპრილს ჩატარდა HR ფორუმი. ფორუმზე მოწვეული იყო 10 მსხვილი კომპანიის კადრების შერჩევის სამსახურის უფროსი და სხვადასხვა კერძო უნივერსიტეტის



კარიერული განვითარების სამსახურის თანამშრომელი. ფორუმის მიზანი იყო გაგვეგო, რა მოთხოვნები აქვთ დასაქმებულებს და რა შეუძლია უნივერსიტეტს გააკეთოს ამ მოთხოვნებზე საპასუხოდ და სტუდენტების შრომითი ბაზრისთვის მოსამზადებლად.

- 2018 წლის 19 აპრილს ჩატარდა ვორქშოპი “დამახსოვრების ხელოვნება”. მასტერკლასზე მონაწილეები გაეცნენ მეხსიერების გაუმჯობესების სხვადასხვა სტრატეგიასა და ხერხს. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/pg/memacademy/photos/?tab=album&album_id=2046186298952494&__tn__=-UCH-R)

- 2018 წლის 20 აპრილს საბაუნში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საუნივერსიტეტო პროექტების წერაზე. ტრენინგის მიზანი იყო საბაუნის სტუდენტებს გამოემუშავებინათ პროექტის წერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რისი გამოყენებითაც ისინი შეძლებენ თავიანთი ინიციატივების განხორციელებას, სტუდენტური ცხოვრების გაძლიერებას, თავიანთი იდეების განხორციელებას და სხვა სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა სახის ღონისძიებაში. შეხვედრა განკუთვნილი იყო საბაუნის კლუბებისა და თვითმმართველობის წევრებისთვის. პროექტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/126358401465925/>)

- 2018 წლის 27 აპრილს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა მოხალისეების შერჩევასა და მართვაზე. სამუშაო შეხვედრა განკუთვნილი იყო კლუბებისთვის, მათი გაძლიერებისა და კლუბის წევრების განვითარებისთვის, რათა უკეთ შეძლებოდათ მოხალისე წევრების შერჩევა/მართვა და მოტივირება. შეხვედრას ესწრებოდნენ საბაუნში არსებული კლუბების ხელმძღვანელები (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/361577750992759/>)

- 2018 წლის 16 მაისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა კრედოს დასაქმების ფორუმი, რომელიც მოეწყო სტუდენტთა დასაქმების მიზნით. წარმოდგენილი იყო როგორც დასაქმების, ისე სტაჟირების შესაძლებლობები (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/2193888050839172/>)

- 2018 წლის 18 მაისს საბაუნში ჩატარდა ტრენინგი „პირველი ნაბიჯი მეწარმეობისკენ“. ტრენინგი განკუთვნილი იყო ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა, სტუდენტებს გაეგოთ, რა არის



საჭირო ბიზნესში პირველი ნაბიჯების გადასადგმელად და რა უნდა გაითვალისწინონ ბიზნესის დაწყების დროს. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/202293463914072/>)

- 2018 წლის 20 მაისს საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა ჩაატარა ვორქშოფი „რა გვჭირდება წარმატებით დასაქმებისთვის?“. სტუდენტებმა შეხვედრის შედეგად გაიგეს, რა უნარები სჭირდებათ და როგორი კანდიდატები უნდა იყვნენ იმისთვის, რომ წარმატებით დასაქმდნენ და როგორ უნდა გახდნენ სასურველი კანდიდატები დამსაქმებლებისთვის. ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/227574181339975/>)

- 2018 წლის 30 მაისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ვორქშოფი თემაზე: როგორია წარმატებული გასაუბრება. შეხვედრა დაიგეგმა სტუდენტების საჭიროებებიდან და მათი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. ტრენინგზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: გასაუბრებისთვის მომზადება, რა შეკითხვები უნდა დავუსვათ გამსაუბრებელს და სხვ. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/2078995075645897/>)

- 2018 წლის 7 ივნისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: მოტივაციის ძალა სამსახურის მაძიებლებისთვის. ტრენინგის მიზანი იყო სტუდენტებში მოტივაციის გაღვივება დასაქმების მიმართულებით. ტრენინგზე განხილული საკითხების დახმარებით სტუდენტებმა გააანალიზეს თავიანთი მონდომებისა და მოტივაციის მნიშვნელობა დასაქმების დროს. ტრენინგს უძღვებოდა თამარ კანაშვილი (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/198998334247628/>)

- 2018 წლის 13 ივნისს ჩატარდა კარფურის დასაქმების ფორუმი, რომელიც მოეწყო სტუდენტებში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. კომპანიის წარმომადგენლები თავად გაესაუბრნენ სტუდენტებს, გააცნეს კომპანიაში არსებული შესაძლებლობები. შეხვედრაზე ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია როგორც დასაქმების, ისე სტაჟირების შესახებ. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/617372901973852/>)

- 2018 წლის 16 ივნისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: როგორ დავძლიოთ უარის შიში. ტრენინგი ჩაატარა გამოცდილმა



ფსიქოლოგმა. შეხვედრის მიზანი იყო მონაწილეებს დაეძლიათ უარის მიღების შიში სხვა ადამიანებისგან. ტრენინგი წარმატებით დასრულდა პრაქტიკული და თეორიული დავალებების საშუალებით. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/193231267996738/>)

- 2018 წლის 19 ივნისს გაიმართა მასშტაბური დასაქმების ფორუმი საბაუნში. ფორუმზე წარმოდგენილი იყო 20 კომპანია, რომლებმაც სტუდენტებს შესთავაზეს როგორც საზაფხულო, ისე სტუდენტური და სრულ განაკვეთიანი ვაკანსიები და სტაჟირებები. ფორუმს დაესწრო 100-ზე მეტი სტუდენტი. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/2165338497031804/>)

- 2018 წლის 20 ივნისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: გასაუბრებაზე მოქცევის წესები. ტრენინგი დაიგეგმა სტუდენტების საჭიროების დადგენის შედეგად. იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცნენ გასაუბრებაზე, უჭირთ თავიანთი ცოდნისა და უნარების გამოვლენა. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად დაიგეგმა ეს შეხვედრა, რომელზეც მომხსენებელმა მონაწილეებს მისცა პრაქტიკული რჩევები გასაუბრებაზე წარმატების მისაღწევად.

- 2018 წლის 19 ივლისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა ორგანიზება გაუწია ლიდერთა ბანაკს ლაგოდეხის ნაკრძალში. ბანაკი დაიგეგმა საბაუნის აქტიური სტუდენტებისთვის მოტივაციის ასამაღლებლად. ბანაკში იმყოფებოდა 12 ადამიანი. 3 დღის მანძილზე ისინი დაბანაკებული იყვნენ ლაგოდეხის ნაკრძალში და მოინახულეს გურგენიანის ჩანჩქერი. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/400423093784912/>)



იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახურის/იურისტის ძირითადი სამუშაო დატვირთვა მოიცავს, რექტორის აქტების (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, აკადემიური შვებულება, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა, მივლინება, აკადემიური თანამდებობის დაკავება, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ ბრძანებები და სხვ.), ხელშეკრულებების, მემორანდუმების შემუშავებას, დისციპლინური კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღებას.

იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

შემუშავდა	ცვლილებები შევიდა
აქტი „პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“	
აქტი „პოსტსაბჭოთა კვლევების ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ	
აფილირების წესი	
აკრედიტაციის თვითშეფასების ჯგუფის შექმნის აქტები	
დისციპლინური კომისიის სხდომის ოქმების შედგენა, ბრძანებების მომზადება (3 ოქმი/ბრძანება)	
2017-2018 სასწავლო წლის სტიპენდიების გაცემის წესი	
„საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსის საფასურის განსაზღვრის“ აქტი	
	უნივერსიტეტის თამბაქოს ნაწარმის მოხმარების წესი



აქტის მომზადება - „პროგრამების მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“	
აქტის მომზადება - „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია“	
	ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
	უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი
	სტუდენტების მიერ მიღებულ კრედიტების აღიარების წესი
აკრედიტაციის დროებითი ჯგუფისა და საქმიანობის წესი	
	აქტის მომზადება - უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა
პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი გამოყენების წესები	
	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
სოციალური კომისიის შექმნის აქტი	



საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ჩართულობით გაკეთდა რამდენიმე პროექტი აბიტურიენტებთან კომუნიკაციის მიზნით: ტრენინგების ციკლი კრეატივში, პროფესია ადვოკატი, ჩაიწერა რამდენიმე პრომო ვიდეო, გაკეთდა რეკლამა ნაეკის ჟურნალსა და აჭარანეტზე; განხორციელდა პროექტი #საბაუნისწარმატებულისტუდენტები; ხორორციელდა მედია მხარდაჭერა უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროექტისთვის (როგორც ვიზუალური ასევე ორგანიზების თვალსაზრისით); ინიცირდა პროექტი #თავისუფალი თემა რომლის ფარგლებში სულ მოწვეულ იქნა 5 ცნობილი ადამიანი. რეგიონებსა და თბილისის სკოლებში ჯამში დაიგზავნა 700-მდე წერილი (ფასდაკლებისა და ჩვენი სტუდენტების წარმატების შესახებ), აბიტურიენტებისთვის ჩატარდა კონცერტი სადაც 150-მდე მოსწავლე დაესწრო და სასწავლო გრანტის ჩემპიონატი.

ჩატარდა გამოსაშვები სადამო და პირველკურსელების წვეულება.

2017-2018 წლის დეტალური ანგარიში:

სარეკლამო გვერდი Naec ჟურნალში
#საბაუნისსტუდენტები
ვიდეოები (საბაუნის საიმიჯო ვიდეო რგოლები)
რეკლამა Adjara.net
მარათონი სასწავლო გრანტისთვის
ურჩიე მეგობარს საბაუნი wishbox
რეფერალ მარკეტინგი
რუბრიკა თავისუფალი თემა
საჩუქარი აბიტურიენტებს
საჩუქარი რეგიონის სკოლებს
საჩუქრები ბოლო ზარზე
მოსწავლეთა აკადემიის აქტივობების მედია მხარდაჭერა
გამოსაშვები სადამო 2018
პირველკურსელების დახვედრა უნივერსიტეტში
პირველკურსელების სადამო 2018
პროექტი აბიტურიენტებისთვის: სამართლის იმიტირებული პროცესი
კრეატივის ტრენინგი აბიტურიენტებისთვის
შეხვედრა აბიტურიენტებთან
აბიტურიენტებისთვის: საჯარო ლექცია დიმიტრი გეგენავასთან